სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნოემბერი №22

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ბიზნესკონსულტაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomceme li: Sps ~biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
~gadasaxadebi~

registrirebulia #04-0665, 10.08.2009 / *Registred* #04-0665, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD

Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / FFormal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-36

instruqcia / **Instructions** ----------40-42

Semosavlebis samsaxuris brZaneba ȝ **Revenue Service command** ----------43-45

proeqti / **Project** ----------46-54

gadasaxadebi #22, 2019

GADASAKHADEBI #22, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №548

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის №631 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის №631 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2015, 040030000.10.003.019018) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. ანგარიშის წარუდგენლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №549

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში (სსმ III, №101, 01/08/2006) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის 10^5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10^5. დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობა

1. ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობის ოდენობა შეადგენს 45 ლარს.

2. დევნილთა ყოველთვიური შემწეობის მიმღებ პირებს განსაზღვრავს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, ხოლო ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის მიმღებ პირებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის მიმღები პირების განსაზღვრის მიზნით, არა უგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა (არასამუშაო დღის შემთხვევაში – მომდევნო სამუშაო დღეს), ელექტრონული რეესტრის სახით აწვდიან სააგენტოს დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სრულ სიას.

4. სააგენტო, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სიების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბრუნებს ინფორმაციას ამ წესით განსაზღვრული საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა შესახებ.

5. სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არაუგვიანეს ყოველი თვის 26 რიცხვისა, სააგენტოს უგზავნიან დაფინანსების მოთხოვნას დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ყოველთვიური შემწეობის მიმღებ პირთა შესახებ (ელექტრონული რეესტრის სახით, შესაბამისი ინფორმაციით), სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმატით.

6. სააგენტო, დევნილის სტატუსის მქონე პირთა შემთხვევაში, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან მიღებული ელექტრონული რეესტრის, ხოლო ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ელექტრონული რეესტრის საფუძველზე, უზრუნველყოფს დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის თანხების გადარიცხვას.

7. თუ სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს წარმოეშობა ან უკვე მოპოვებული აქვს დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის თანხების მიღების უფლება, სააგენტო შემწეობის გამცემ საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე ხსნის საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის თანხა. საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშზე ჩარიცხული თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ პირის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ან სრულწლოვანების მიღწევამდე – მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. თუ მხარდაჭერის მიმღებ პირს წარმოეშობა ან უკვე მოპოვებული აქვს დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის თანხების მიღების უფლება, შემწეობის თანხას იღებს უშუალოდ მხარდაჭერის მიმღები პირი ან მისი მხარდამჭერი, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული მონაცემების სისწორის შემოწმება ან რაიმე სახის კორექტირება.

10. დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების წყაროა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №551

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის „გ“ და „გ[1]“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოველთვიურად, ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს, მიაწოდოსგანახლებული მონაცემები წინა თვის ბოლო კალენდარული დღის მდგომარეობით, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახების შესახებ (პირადი ნომრის მითითებით), რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები და განსახლებულნი არიან სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ადგილებში. ამასთან, 2014 წლის ანალოგიური მონაცემები, რომლებიც მიწოდებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების ფარგლებში, სააგენტომ გამოიყენოს ამ პროგრამის მიზნებისთვის;

გ[1]) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოველთვიურად, ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს, მიაწოდოს განახლებული მონაცემები წინა თვის ბოლო კალენდარული დღის მდგომარეობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან დევნილი მოსახლეობის შესახებ, რომელიც აღრიცხულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ფორმატით. ამასთან, 2014 წლის ანალოგიური მონაცემები,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რომლებიც მიწოდებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილების ფარგლებში, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოიყენოს ამ პროგრამის მიზნებისთვის;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №553

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №144 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №144 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №552

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს №401 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს №401 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/08/2016, 190020060.10.003.019466) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“.

2. **პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) განისაზღვროს, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებისადმი დაქვემდებარებულ ოჯახთა (ეკომიგრანტთა) სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, მათთვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის გრანტის გამცემად.

მუხლი 2. სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №557

2019 წლის 19 ნოემბერი, ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართ №2-ის („შესაბამისი თანამდებობის პირისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი“):

1. **ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„შესაბამისი თანამდებობის პირისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი

თანამდებობის დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტულად
საქართველოს მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი	80
საქართველოს გენერალური პროკურორი	80
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი	80
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი	80
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი	80
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	80
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე	80
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	80
საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური	80
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი	80
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	80
ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარე და წევრები	70
ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი	80
საქართველოს სახალხო დამცველი	80
სახელმწიფო ინსპექტორი	80

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	70
საქართველოს მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი	70
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი	70
სახელმწიფო რწმუნებული	70
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოადგილე	70
საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე	70
საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი	70
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	70
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	70
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი	70

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი	70
საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი	70
ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი	60
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მინისტრი	60
საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე	60
საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი	60
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროფესიული საჯარო მოხელის პირველი, მეორე და მესამე რანგების კატეგორიების საჯარო მოხელეები	40
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე	40
საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი	40
საქართველოს საპრეზიდენტო დელეგაციის ხელმძღვანელი	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრი და სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის გარეთ მივლინებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურე	30
საქართველოს საპრეზიდენტო დელეგაციის წევრი	30
საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი	70
საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე და მოადგილე	70
სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე და მოადგილე	70

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **შენიშვნების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მინისტრსა და სახელმწიფო მინისტრს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, საქართველოს სახალხო დამცველს, სახელმწიფო ინსპექტორს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, თანაშემწეს, სპეციალურ წარმომადგენელს – ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, აგრეთვე სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მოხელის მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, ხოლო სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციის წევრებს – მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით შესაბამისი უწყებებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მივლინების შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის სახსრებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №562

2019 წლის 20 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №362 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №362 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/08/2019, 010240030.10.003.021377) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №223/04–№350

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №10/01–№51 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №10/01-№51 ერთობლივ ბრძანებაში (სსმ, III, №13, 03.02.2010, მუხ.151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) **„ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ქ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) – პირდაპირი განთავსებით ან აუქციონზე გაყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა;“;

ბ) **„ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ[1]“ ქვეპუნქტი**:

„ქ[1]) ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა – ფინანსთა სამინისტროს მიერ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა დაფარვის თარიღამდე, მეორად ბაზარზე აუქციონის მეშვეობით ან აუქციონის გარეშე, თუ გამოსყიდვის შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვრულია გამოსასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების პირობებში;“.

2. **მე-3 მუხლის**:

ა) **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„**მუხლი** 3. **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების და გამოსყიდვის ოპერაციების ორგანიზება**“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 **პუნქტი**:

„1^1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე ან აუქციონის გარეშე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების პირობების შესაბამისად.“.

3. **მე-4 მუხლის**:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არაუგვიანეს ყოველი კვარტალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ფინანსთა სამინისტრო აქვეყნებს გამოშვების კალენდარს სულ მცირე მომდევნო სამი თვისათვის. ანალოგიურად შეიძლება გამოქვეყნდეს გამოსყიდვის კალენდარი.

2. გამოშვების კალენდარი მოიცავს ინფორმაციას აუქციონების ჩატარების თარიღების, თითოეულ აუქციონზე გასაყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვადიანობის და მოცულობის შესახებ.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 **პუნქტი**:

„2^1. გამოსყიდვის კალენდარი მოიცავს ინფორმაციას გამოსყიდვის აუქციონების ჩატარების თარიღების, თითოეულ აუქციონზე გამოსასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის, ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის რაოდენობის შესახებ.“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებისა და გამოსყიდვის კალენდრების შედგენა და მასში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება ხდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, რისთვისაც იგი კალენდრების პროექტს გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე უგზავნის ეროვნულ ბანკს.“;

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გამოშვების აუქციონის გამოცხადებისას ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს გამოშვების აუქციონის თარიღს, გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომერს და რაოდენობას, ანგარიშსწორებისა და დაფარვის თარიღებს, ასევე სახაზინო ობლიგაციებისათვის კუპონის გადახდის თარიღებს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) 5^1 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 5^2 **და** 5^3 **პუნქტები**:

„5^2. გამოსყიდვის აუქციონის გამოცხადებისას ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს გამოსყიდვის აუქციონის თარიღს, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომერს, ანგარიშსწორების თარიღს და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების საორიენტაციო ან ზუსტ რაოდენობას.

5^3. აუქციონის გარეშე გამოსყიდვის შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს გამოსასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის საიდენტიფიკაციო ნომერს, გამოსყიდვის თარიღს, ანგარიშსწორების თარიღს და ანგარიშსწორების თანხას.“.

4. 4^2 **მუხლის**:

ა) **მე-2-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრავს ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიების მოცულობებს და ბანკებს შორის განაწილების პრინციპს, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ ბანკებს. ამ საკითხზე შესაძლებელია წინასწარი კონსულტაცია განხორციელდეს საბანკო სექტორთან.

3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შეტყობინებაში ცალკე მიეთითება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომერი და რაოდენობა, გამოშვების მოცულობა, კუპონის განსაზღვრის წესი, ემისიის განთავსების ფორმა და ბანკებს შორის განაწილების პრინციპი და/ან ლიმიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საქართველოს მთავრობის და/ან ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამ მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმიდან ერთ-ერთის მეშვეობით:

ა) აუქციონით, ამავე აუქციონზე წარდგენილი კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით;

ბ) პირდაპირი განთავსებით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებით ან იმავე ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით.“;

ბ) **მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6. თითოეული ბანკისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არსებული ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად კმაყოფილდება ამ მუხლის შესაბამისად გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის განაცხადები, რომელიც ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით არის წარდგენილი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. მე-5 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აუქციონზე წარმოდგენილი ერთი არაკონკურენტული განაცხადის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.“;

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. თითოეული ბანკის მიერ გამოშვების აუქციონზე წარდგენილი საკუთარი განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 75%-ს.“;

გ) 12^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12^2. გამოშვების აუქციონზე თითოეული ბანკის მიერ წარდგენილი ერთი კლიენტის განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 50%-ს.“;

დ) მე-16 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი/გასაყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რაოდენობას და საპროცენტო განაკვეთს (მეათასედის/მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით). კლიენტის სახელით გაკეთებულ განაცხადში ბანკი გააკეთებს შესაბამის მითითებას;

ბ) არაკონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი/გასაყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ჯამურ ოდენობას და საკუთარი და კლიენტებისაგან მიღებული განაცხადების რაოდენობას.“.

6. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამოშვების აუქციონზე მიღებული განაცხადები ეგზავნება ფინანსთა სამინისტროს. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსთა სამინისტრო მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ეროვნულ ბანკს არ გაუგზავნის შეტყობინებას აუქციონის განკვეთის დონის დადგენის შესახებ, მაშინ გამოშვების აუქციონი სრულდება:

ა) აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა უტოლდება ან აღემატება გამოცხადებული ემისიის მოცულობას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) შემოსული განაცხადების სრულად დაკმაყოფილებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა ნაკლებია გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების მოცულობაზე.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. თუ გამოსყიდვის აუქციონის შეტყობინებაში მითითებულია გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობა და ფინანსთა სამინისტრო განაცხადების მიღებიდან მომდევნო ერთი საათის განმავლობაში არ აცნობებს ეროვნულ ბანკს აუქციონის განკვეთის დონეს, გამოსყიდვის აუქციონი სრულდება:

ა) ფასიანი ქაღალდების სრული გამოსყიდვით, თუ გამოსყიდვის აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა უტოლდება ან აღემატება გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების წინასწარ გაცხადებულ მოცულობას;

ბ) შემოსული განაცხადების სრულად დაკმაყოფილებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა ნაკლებია გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების წინასწარ გაცხადებულ მოცულობაზე.

2^2. თუ გამოსყიდვის აუქციონის შეტყობინებაში არ არის მითითებული გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობა, ფინანსთა სამინისტრო მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ეროვნულ ბანკს აცნობებს აუქციონის განკვეთის დონეს და გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას.“;

გ) მე-3 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. არაკონკურენტული განაცხადების ჯამური თანხა, მაგრამ არაუმეტეს მთლიანი გამოცხადებული ემისიის/გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების მოცულობის 25%-ისა, აკლდება ემისიის/გამოსასყიდ მოცულობას და დარჩენილი ნაწილით განისაზღვრება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობა.

4. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გამოცხადებული ემისიის/გამოსასყიდი მოცულობის 25%-ზე მეტია, არაკონკურკეტული განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით.

5. გამოშვების აუქციონზე დაშვებული ყველა კონკურენტული განაცხადი დალაგდება განაცხადში მითითებული საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით.“;

დ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„51. გამოსყიდვის აუქციონზე დაშვებული ყველა კონკურენტული განაცხადი დალაგდება განაცხადში მითითებული საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) მე-6 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6. გამოშვების აუქციონზე პირველ რიგში დაკმაყოფილდება ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი, ხოლო შემდგომ ყოველი მომდევნო მაღალი განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობას ან საპროცენტო განაკვეთი მიაღწევს აუქციონის განკვეთის დონეს.“;

ვ) მე-6 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 6^1 **პუნქტი**:

„6^1. გამოსყიდვის აუქციონზე პირველ რიგში დაკმაყოფილდება ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის (ყველაზე დაბალი ფასის) მქონე კონკურენტული განაცხადი, ხოლო შემდგომ ყოველი მომდევნო დაბალი განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი, სანამ სრულად არ იქნება გამოსყიდული ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსყიდვის აუქციონის შეტყობინებაში მითითებული ან აუქციონის მიმდინარეობისას, განკვეთის დონის საფუძველზე განსაზღვრული გამოსასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა.“;

ზ) მე-7–მე-9 **პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. იმ შემთხვევაში, თუ გამოშვების აუქციონის დასრულებისას ყველაზე მაღალი და გამოსყიდვის აუქციონის დასრულებისას ყველაზე დაბალ ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმეკონკურენტული განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ გაუნაწილებელი სახელმწიფო ფასიანიქაღალდების მოცულობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილდებიან პროპორციულად.

8. საჭიროების შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, გასაყიდად/გამოსასყიდად გაცხადებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა გაიზრდება ან შემცირდება აუქციონის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

9. სახაზინო ობლიგაციის კუპონის განაკვეთი დგინდება გამოშვების აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის ერთი მერვედის ჯერადამდე დამრგვალებით.“;

თ) 9^3 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„9^3. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმის ფარგლებში გამოსაშვებ სახელმწიფო ფასიან ქაღალდზე კუპონის განაკვეთი ფინანსთა სამინისტრომ შეიძლება დაადგინოს ერთ-ერთი შემდეგი წესით:

ა) ამავე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის პირველად აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით, აუქციონის მეშვეობით განთავსების შემთხვევაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ამავე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის პირველად აუქციონზე დაფიქსირებული კუპონის განაკვეთი, პირდაპირი განთავსების შემთხვევაში.“.

7. მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამოშვების აუქციონის ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს საოპერაციო საათის დასრულებამდე, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ხდება აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშზე.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. გამოსყიდვის აუქციონის ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს საოპერაციო საათის დასრულებამდე, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ხდება გამოსყიდული ფასიანი ქაღალდების შესაბამისი თანხის ჩამოჭრა სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშიდან და მათი ჩარიცხვა აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №358

2019 წლის 27 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბიუჯეტის განმკარგველი – 0971 – სსიპ „ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

359	0971	სსიპ – „მწერალთა სახლი“

2. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

646	4286	ა(ა)იპ – „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“
686	4326	ა(ა)იპ – „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“
1357	4997	ა(ა)იპ – „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“
1363	5003	ა(ა)იპ – „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრი“
1364	5004	ა(ა)იპ – „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“

3. ბიუჯეტის განმკარგველის – 5106 – ა(ა)იპ „ახალგორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1467	5107	ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“
1468	5108	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“
1469	5109	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი“
1470	5110	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი“
1471	5111	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“
1472	5112	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“
1473	5113	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი“
1474	5114	ა(ა)იპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №359

2019 წლის 27 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის** 2011 **წლის** 23 **მაისის №**303 **ბრძანებით** (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, **სარეგისტრაციო კოდი**: 040030000.22.033.016192) **დამტკიცებული დებულების**:

1. **მე-**4 **მუხლის**:

ა) **მე-**2 **პუნქტის „**გ“ **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი;“;

ბ) **მე-**3 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ფინანსური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, დავების დეპარტამენტი, ანალიტიკური დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი და სამსახურის უფროსის სამდივნო წარმოადგენენ სამსახურის სათავო ოფისს, ხოლო აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი და საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენენ სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტებს.“.

2. **მე-**8 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 8. **სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი**

1. სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

გ) სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემოწმება;

დ) სამსახურებრივი შემოწმებისას ან შემოსულ განცხადებაზე რეაგირებისას გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინური დევნის წარმოება;

ე) სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ხელშემწყობი მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) სამსახურის სისტემაში თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენა;

ზ) სათანადო რეკომენდაციების მომზადება სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების პროცესის ხელშეწყობისათვის;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ი) სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

კ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.

2. სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან კოორდინირებულად.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №213/04

2019 წლის 5 ნოემბერი, ქ. თბილისი

„გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ “ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

მუხლი 1

„გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში (www.matsne.gov.ge; 22/01/2015; ს/კ: 220090000.18.011.016152) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს მე-6 მუხლის მე-4 და მე-7- მე-9 პუნქტები.

2. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თუ სახსრების ჩარიცხვა ხორციელდება საზღვარგარეთიდან, მიმღების ბანკი ვალდებულია ჩარიცხვა განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებით დამტკიცებული „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების“ შესაბამისად.“.

3. ამოღებულ იქნეს მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 2 მარტიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №230/04

2019 წლის 25 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 10/03/2015; ს/კ: 220090000.18.011.016159) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) რისკის პოზიცია – აქტივი ან/და გარესაბალანსო ელემენტი;“;

ბ) „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) რისკის პოზიციის ღირებულება – „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ღირებულება, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამავე დებულების XIV თავში ჩამოთვლილი გარესაბალანსო ელემენტების კრედიტ-კონვერსიის ფაქტორად, ყველა შემთხვევაში, მიუხედავად რისკის კატეგორიისა, აიღება 100%.“.

2. **მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 7. **ლიმიტები ტრანზაქციებზე**

1. ერთი დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის ღირებულების საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 5%-ს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ყველა დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის ღირებულების საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 25%-ს.

3. დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციის განხორციელება, რომლის შედეგადაც ბანკის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში შესყიდული აქტივებისა თუ მიღებული მომსახურების ჯამური ღირებულება აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს, საჭიროებს საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარ დასტურს.

4. ამ მუხლით განსაზღვრული ლიმიტების გაანგარიშებისათვის რისკის პოზიციებში არ გაითვალისწინება ბანკის მიერ პირველადი კაპიტალიდან დაქვითული ინვესტიციები საწარმოების კაპიტალში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი ივნისიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №219/ნ

2019 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სკოლებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 მარტის №20/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

საჯარო სკოლებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 მარტის №20/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/03/2016, 430070000.22.022.017093) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სკოლებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მე-2 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 2. **საჯარო სკოლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა**

საჯარო სკოლებს ყოველწლიურად გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 5-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 7,200.0 ლარი;

ბ) 6-დან 10-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 13,200.0 ლარი;

გ) 11-დან 15-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 19,200.0 ლარი;

დ) 16-დან 20-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 25,200.0 ლარი;

ე) 21-დან 25-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 31,200.0 ლარი;

ვ) 26-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 37,200.0 ლარი.“;

ბ) მე-4 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 4. **ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება**

სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა, უგზავნის სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განვითარების სამმართველოს, რომელიც ხუთი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ამ დანართის მე-3 მუხლში მითითებული ინფორმაციის სისწორეს და აწვდის ინფორმაციას სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №228/ნ

2019 წლის 28 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 05 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში (სსმ, №8, 23/01/2006, სარეგისტრაციო კოდი: 430.010.000.22.022.008.031) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) 3^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^2 პუნქტი:

„3^2. რესურსცენტრის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით განსაზღვრავს რესურსცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი

ირინე აბულაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №229/ნ

2019 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის (დოკუმენტის ნომერი №3024-რს) კანონის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21.02.11, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში“ და დებულების:

ა) მე-12 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 12^1 **მუხლი**:

„**მუხლი** 12^1. **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აბიტურიენტთა ინფორმირება**

1. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 5 სექტემბრამდე სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგინოს იმ პროგრამების სავარაუდო ჩამონათვალი, რომელზეც გამოაცხადებს მომდევნო სასწავლო წლისათვის მიღებას, ჩასაბარებელი საგნების მითითებით.

2. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამოწმებს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს და გადამოწმების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ჩარიცხვის წლის წინა წლის 10 სექტემბრისა, დამოწმებულ ინფორმაციას აგზავნის ცენტრში.

3. ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციას, არაუგვიანეს ჩარიცხვის წლის წინა წლის 16 სექტემბრისა, განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.“;

ბ) მე-13 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 13. **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება**

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და რამდენიმე აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაერთიანებულად აბიტურიენტთა მიღების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის პირველი დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ფორმით ავსებს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს (შემდგომში – ანკეტა).

2. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ანკეტაში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების შემდეგ, არაუგვიანეს ჩარიცხვის წლის 10 იანვრისა, ადასტურებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„გ“, „ე“, „ვ“, „ი“ და „წ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორეს, ხოლო „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორეს ადასტურებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დადასტურებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, შეთანხმებული ფორმით, უზრუნველყოფს ცენტრის წვდომას უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულ/დადასტურებულ ინფორმაციაზე. ცენტრი მიღებულ ინფორმაციას 10 სამუშაო დღის ვადაში ასახავს სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

3. ანკეტაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების:

ა.ა) სამართლებრივი ფორმა, სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

ა.ბ) მისამართი და ვებგვერდი;

ა.გ) ტელეფონი და ელ. ფოსტის მისამართი;

ა.დ) ხელმძღვანელი პირების ვინაობა მათი საკონტაქტო ტელეფონებისა და ელ. ფოსტის მითითებით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა, აკადემიურ პროგრამებზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები აბიტურიენტებისთვის ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებულია ერთზე მეტი მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელთათვისაც ამ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსხვავებული საგნის ჩაბარებაა სავალდებულო, მიღება უნდა გამოცხადდეს ცალ-ცალკე კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისად, ჩასაბარებლად სავალდებულო საგნების გათვალისწინებით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები გაერთიანებულად (შემდგომში – პროგრამების გაერთიანება) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა ერთიანი მიღება და საერთო ადგილების რაოდენობა. დაუშვებელია არააკრედიტებული და აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება, რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, ამ დებულების მე-8, 8^1 და 8^4 მუხლებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე ამ დებულების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება, ასევე იმ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება, რომლებსაც არ აქვთ ერთნაირი სწავლების ენა, სწავლის საფასური და კრედიტების რაოდენობა. გაერთიანებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს ენიჭება ერთი საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) პროგრამაზე/პროგრამების გაერთიანებაზე მისაღები ადგილების კვოტა – საგნების მიხედვით;

ე) პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების დასახელება, ხოლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, ამ გაერთიანებაში შემავალი ყველა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;

ვ) ინფორმაცია იმის თაობაზე, აკრედიტებულია თუ არა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტაციის ვადის მითითებით; პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში მიეთითება ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის თაობაზე, რომელსაც აკრედიტაციის ვადა უფრო ადრე ეწურება;

ზ) გადაწყვეტილება ერთიანი ეროვნული გამოცდის თითოეული საგნისთვის ამ დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გაზრდის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

თ) დადგენილი წესით განსაზღვრული სწავლის წლიური საფასური თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები;

ი) სავალდებულო საგნები, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული დამატებითი საგანი/საგნები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) ინფორმაცია სახელოვნებო-შემოქმედებით, სასპორტო ან/და სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი კონკურსის შესახებ;

მ) საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ცალკეული საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტები, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტი;

ნ) სწავლების ენა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

ო) აბიტურიენტებისთვის განსაზღვრული სპეციალური პირობები, მათ შორის კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესის და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 მარტის №72/№30/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად განათლების მიღების პირობები;

პ) პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნა/მოთხოვნები (აუცილებელია სამედიცინო შემოწმების გავლა, კონკრეტული უცხო ენის ჩაბარება, კონკურსის გავლა იმ პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო ან/და სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამა და ა.შ).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“, „ვ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები და ანკეტაში ივსება ავტომატურად, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ანკეტაში შეიტანება დაწესებულების მიერ.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ანკეტაში ასახოს ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლებზეც ანკეტის წარდგენის დროისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანკეტაში ასახული ინფორმაციის სისწორის დამოწმება გულისხმობს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის დადასტურებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამების თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ამ ინფორმაციის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადააგზავნოს ცენტრში.

8. ცენტრი ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამების თაობაზე ინფორმაციას ელექტრონულ ბაზაში ასახავს და საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს მხოლოდ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

9. საგანმანათლებლო დაწესებულება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე შესაბამის წელს ვერ მიიღებს აბიტურიენტებს, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში ელექტრონულ პროგრამაში არ შეავსებს ანკეტას.

10. ცენტრი მონაცემთა ბაზების ფორმირებას ახორციელებს ამ მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე.

11. ცენტრი ანკეტაში გათვალისწინებულ ელექტრონულ ინფორმაციას განათავსებს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე. ელექტრონულ ინფორმაციაში აისახება საქართველოში არსებული ის საგანმანათლებლო დაწესებულებები და საგანმანათლებლო პროგრამები/პროგრამების გაერთიანებები, რომლებზეც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე წარმოებს აბიტურიენტთა მიღება.

12. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია ჩარიცხვის წლის 1 აგვისტოს ცენტრში წარადგინოს ინფორმაცია ანკეტაში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის (აკრედიტაციის ვადის მითითებით), აკრედიტაციაზე უარის თქმის, აკრედიტაციის გაუქმების ან აკრედიტაციის ვადის გასვლის თაობაზე.

13. ცენტრი ვალდებულია, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს ელექტრონულ ბაზაში და განათავსოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.“;

გ) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აკადემიურ პროგრამაზე ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად რანჟირებული სიიდან სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებს მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტთა ის რაოდენობა, რომელსაც ამ დებულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკადემიური პროგრამისთვის.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38-ე პუნქტი:

„38. მართვის სისტემა, ამ დებულების 12[1] მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორის დადასტურებისას იმ პროგრამებზე, რომელთა მისანიჭებელი კვალიფიკაციები შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანამდე, ეყრდნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მისანიჭებელი კვალიფიკაციებისა და ჩასაბარებელი სავალდებულო საგნების ნაწილში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ირინე აბულაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

instruqcia

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №356

2019 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 77^1 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 77^2 **მუხლი**:

„მუხლი 77^2. **ცალკეულ შემთხვევაში დაუფასოებელი თამბაქოს ნაწარმის მიწოდება**

1. ეს მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მიზნებისათვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდების შემთხვევებს.

2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევაში:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მიწოდება ხდება თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით თამბაქოს იმ მწარმოებლისათვის, რომლის შესახებ ინფორმაცია ასახულია თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში;

ბ) თუ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიწოდებას თან ახლავს ტრანსპორტირება, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მწარმოებლის მიერ გამოწერილია სასაქონლო ზედნადები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონელი არ ექვემდებარება აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას.

4. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლად არ განიხილება პირი, რომელიც ახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის მხოლოდ პირველად საფუთავებში დაფასოებას.

5. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირისათვის.

6. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში ინფორმაციის ასახვის მიზნით, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი შემოსავლების სამსახურს მიმართავს განცხადებით (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით), რომელიც უნდა მოიცავდეს მის სარეგისტრაციო მონაცემებს (სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საქმიანობის (თამბაქოს ნაწარმის წარმოება) მოკლე აღწერას.

7. შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში შეტანას, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს და გასცემს რეესტრში შეტანის დამადასტურებელ დოკუმენტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. ამ შემთხვევაში ჩერდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვადის დინება, რომელიც განახლდება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401 კოდში მითითებული თამბაქოს ნაწარმის საქართველოში მოყვანა და პირველადი დამუშავება არ წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის წარმოებას.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 80[1] **მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი**:

,,5[1]. ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი სითხეების (სეს ესნ 3824 90 980 01 კოდით) წარმოების შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ აქციზური მარკების შეძენაზე განცხადებით მიმართვისას, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია.“.

3. 112-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33-ე პუნქტი**:

„33. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 182-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის, 2019 წლის 21 ნოემბრამდე იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებულ საქონელთან მიმართებით, იმ პირზე (გარდა პირისა, რომელიც ახორციელებს საქონლის მხოლოდ საცალო რეალიზაციას), რომელსაც 2019 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება აღნიშნული საქონელი, ვრცელდება საქონლის იმპორტიორისთვის გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 21 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №41212

2019 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისი

ელექტროგენერაციის სასადგურე დანაკარგის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

რეგულირებული საწარმოების (მათ შორის, ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატების და მცირე ელექტროსადგურების) მიერ სემეკისთვის სემეკის მიერვე დამტკიცებული ფორმით პერიოდულად წარდგენილ ანგარიშში ასახული ყოველთვიური ინფორმაცია სასადგურე დანაკარგების შესახებ, დაბეგვრის მიზნებისთვის, ჩაითვალოს შესაბამისი გადასახადის გადამხდელისთვის ელექტროგენერაციის სასადგურე დანაკარგად.

საფუძველი: დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2019 წლის

15 ნოემბრის №7 სხდომის ოქმი.

სამასახურის უფროსი

ლევან კაკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის

ბრძანება №41507

2019 წლის 28 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9):

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო^{1}“ ქვეპუნქტი:

„ო^{1}) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონული რეესტრის წარმოება.“.

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{1}) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონული რეესტრის წარმოება.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამასახურის უფროსი

ლევან კაკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №41795

2019 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება“ თანდართული რედაქციით (დანართი №3);“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №3):

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება“;

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული.“.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ლევან კანკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

p r o e q t i

პროექტი

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, №18, 28.06.2001, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ[1]) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობებზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა. ა. ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კანონპროექტი წარმოადგენს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის თანმდევ კანონპროექტს. კანონპროექტის მიზანია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო გაიმიჯნოს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან.

ა. ა. ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტი წარმოადგენს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის თანმდევ კანონპროექტს. იმისთვის რათა სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო გაიმიჯნოს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან, საჭიროა ცვლილებების განხორციელება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, ხოლო აღნიშნული სსიპ-ის საქმიანობას ასევე წარმოადგენს პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება და შესაბამისად კანონის მოქმედი რედაქციით, ბაზარზე ზედამხედველობის კუთხითაც არ ვრცელდება მასზე მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

მას შემდეგ რაც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს გამოეყოფა ბაზარზე ზედამხედველობის ნაწილი და შეიქმნება ცალკე სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, აღნიშნულ ახალ სსიპ-ზეც არ უნდა გავრცელდეს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ გავრცელდება სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობებზე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ვინაიდან „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის ძირითადი მუხლი ამოქმედდება 2020 წლის პირველი იანვრიდან, გამომდინარე საკანონმდებლო აქტში ცვლილებაც ამ თარიღიდან უნდა ამოქმედდეს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განიხილვა გამომდინარეობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნიდან, როგორც აღნიშნული პროექტის გამომდინარე კანონპროექტის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტს არ ექნება ფინანსური გავლენა იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ტიპის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

11.11.2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროექტი

საქართველოს კანონი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, **სარეგისტრაციო კოდი**: 240110000.05.001.016708) **შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება**:

1. **მე-14 მუხლის** 1^1 **ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1^1. ეს თავი ასევე არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. ეს თავი არ არეგულირებს იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომლებზედაც ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოქმედება.“.

2. **მე-15 მუხლის**:

ა) „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) დადასტურებული საფრთხე – შესაბამისი აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული ლაბორატორიის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმების განხორციელებით ან/და საქართველოს ან/და სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსგან/ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსგან ან პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო/რეგიონალური სისტემის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროდუქტის გამოყენება/ექსპლუატაცია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს;“;

ბ) „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) დოკუმენტური შემოწმება – ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ პროდუქტთან დაკავშირებული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება;“;

გ) „$ჭ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3[1]) შემოწმების ოქმი – ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ტექნიკური შემოწმების ან/და დოკუმენტური შემოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც აგრეთვე შეიცავს ამ კოდექსის 19[2] მუხლის 24-ე ნაწილით განსაზღვრული დადგენილებების შესრულების შემოწმების შედეგებს და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადებს – ასეთის არსებობის შემთხვევაში.“.

3. **მე-16 მუხლის**:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას.“;

ბ) მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დამრღვევს აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;“.

4. **19[1] და 19[2] მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი 19[1]. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო**

1. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობას, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

2. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება ამავე სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

3. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) მიზნობრივი გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 19[2]. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელება და ეკონომიკური ოპერატორის ვალდებულებები

1. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება:

ა) რისკის ანალიზის საფუძველზე ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ბ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი ან ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ პროდუქტის გამოყენება შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს;

გ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება დოკუმენტური შემოწმებით ან/და ტექნიკური შემოწმებით.

3. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და ბაზარზე განთავსებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

4. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთან და, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლის დაშვება პროდუქტის წარმოების, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის ადგილებში.

5. პროდუქტის დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე მისთვის პროდუქტთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების მიწოდებით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით.

6. ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ტექნიკური შემოწმება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებსა და პროდუქტის რეალიზაციის ადგილებში პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმებით ან/და პროდუქტის რეალიზაციის ადგილებიდან აღებული ნიმუშის შემოწმებით/გამოცდით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელებისას ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია შეამოწმოს როგორც მთლიანად პროდუქტის ყველა მახასიათებელი, ისე პროდუქტის კონკრეტული კომპონენტი ან ის მახასიათებელი, რომლის თაობაზედაც მას აქვს რისკის შესახებ ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი.

8. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები პროდუქტის წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი დადასტურებულ საფრთხეს შეიცავს.

9. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს იმ პროდუქტის ნიმუშის/ნიმუშების მისთვის გადაცემა, რომლის თაობაზედაც მას აქვს ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისა და გარემოსთვის, იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზედამხედველობის განხორციელებისთვის.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება იმ პროდუქტზე, რომლის ფიზიკური მახასიათებლების ან/და სხვა თვისებრივი მახასიათებლების გამო ვერ მოხერხდება პროდუქტის ნიმუშის აღება. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროდუქტის შემოწმება შეიძლება ადგილზე განხორციელდეს.

11. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული პროდუქტის ნიმუში/ნიმუშები, აგრეთვე ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პროდუქტთან დაკავშირებული დოკუმენტები. აღნიშნული პროდუქტის ნიმუშის/ნიმუშების შესყიდვის ხარჯს ანაზღაურებს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

12. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული პროდუქტის ფარული შესყიდვა, თუ ეს ხელს შეუწყობს საფრთხის ეფექტიანად აღმოჩენასა და გამოვლენას.

13. თუ პროდუქტის ნიმუშის შემოწმებისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროდუქტი დადასტურებულ საფრთხეს შეიცავს, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს პროდუქტის ნიმუშის ღირებულება, აგრეთვე პროდუქტის ნიმუშის შემოწმებისა და ლაბორატორიული კვლევისთვის გაწეული ხარჯები.

gagrZeleba Semdeg nomerSi

11.11.2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com